



MES 6 23 0001297494



04/10/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი: 20. 09. 2023

სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ

სხდომის დასრულების დრო: 14:30 სთ

საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი

საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27²-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. გოდერძი ბუჩაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს“ ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. რატი რატიანი - შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
3. ნინო ბაქრაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
4. ირინე ებრალიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
5. ქეთევან ზურაშვილი - სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
6. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;

7. მარინე მაისურაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
8. ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი;
10. მარინა ქავთარაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი;
11. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. ნინო ღაღანიძე - სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. ლაშა ჩხარტიშვილი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
14. თინათინ ჭაბუკიანი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
15. მამუკა ხუსკივაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

სახელი, გვარი	სტატუსი
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27²-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27⁵-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2019 წლის 20 დეკემბრის N267 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ

2. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ელექტრული და ელექტრონილი ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2021 წლის 18 ივნისის N597666 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ
3. "ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" 2022 წლის 04 ნომბრის №1425437 გადაწყვეტილების დანართში ინფორმაციის დაზუსტების შესახებ;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2019 წლის 20 დეკემბრის N267 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ
2. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ელექტრული და ელექტრონილი ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2021 წლის 18 ივნისის N597666 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ
3. "ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" 2022 წლის 04 ნომბრის №1425437 გადაწყვეტილების დანართში ინფორმაციის დაზუსტების შესახებ;

რადგან დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებების დანართში გარკვეული ცვლილებების შეტანას, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დამსწრე წევრებს ერთად განეხილათ და შემდგომ მიეღოთ გადაწყვეტილებები. სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობას.

1. პირველი საკითხი: „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2019 წლის 20 დეკემბრის N267 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

საბჭოს წევრის თვითაცხეობა

✓ კი

თვითაცხეობა განაცხადა საბჭოს წევრმა მამუკა ხუსკივაძემ.

2. მეორე საკითხი: „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ელექტრული და ელექტრონილი ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2021 წლის 18 ივნისის N597666 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

საბჭოს წევრის თვითაცხევა

✓ კი

თვითაცხევა განაცხადა საბჭოს წევრმა მამუკა ხუსკივამ

3. მესამე საკითხი: "ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" 2022 წლის 04 ნოემბრის №1425437 გადაწყვეტილების დანართში ინფორმაციის დაზუსტების შესახებ;

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხევა

✓ არა

საკითხის ზეპირი მოსმენა

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ლალი ოდიშვილმა განმარტა, რომ სამაგისტრო საფეხურის ანკეტა-კითხვარის დამოწმების მიზნით ცენტრში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადახედვისას აღმოჩნდა, რომ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2019 წლის 20 დეკემბრის N267 გადაწყვეტილებაში, „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ელექტრული და ელექტრონილი ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2021 წლის 18 ივნისის N597666 გადაწყვეტილებაში კვალიფიკაცია უნდა იყოს: **მეცნიერების მაგისტრი ელექტრულ და ელექტრონულ ინჟინერიაში**, ხოლო „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2019 წლის 20 დეკემბრის N267 გადაწყვეტილებაში კვალიფიკაცია უნდა იყოს შემდეგი სახით: **მეცნიერების მაგისტრი დემოგრაფიაში**;

ასევე, ლალი ოდიშვილმა განმარტა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის მიხედვით დასაზუსტებელია ინფორმაცია ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" 2022 წლის 04 ნოემბრის №1425437 გადაწყვეტილების დანართში. კერძოდ, დანართში მისათითებელია, რომელ მოდულებს მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამა. შესაბამისად, აღნიშნული გადაწყვეტილების დანართის მე-10 პუნქტში უნდა დაზუსტდეს ინფორმაცია და მიეთითოს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს შემდეგ მოდულებს საფეხურების მიხედვით:

- ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური),
- მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური),
- ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური),
- ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური),
- ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური),

- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური).

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. მათ არ ჰქონდათ დამატებით შეკითხვები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:22

დასრულების დრო: 14:25

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2019 წლის 20 დეკემბრის N267 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2019 წლის 20 დეკემბრის N267 გადაწყვეტილების დანართ№1-ში „დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის“ სამაგისტრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება მოხდეს შემდეგი სახით: **მეცნიერების მაგისტრი დემოგრაფიაში;**

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ელექტრული და ელექტრონილი ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2021 წლის 18 ივნისის N597666 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ელექტრული და ელექტრონილი ინჟინერიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2021 წლის 18 ივნისის N597666 გადაწყვეტილების დანართ№1-ში „ელექტრული და ელექტრონილი ინჟინერიის“ სამაგისტრო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება მოხდეს შემდეგი სახით: **მეცნიერების მაგისტრი ელექტრულ და ელექტრონულ ინჟინერიაში;**

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: "ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" 2022 წლის 04 ნომბრის №1425437 გადაწყვეტილების დანართ №1-ში ინფორმაციის დაზუსტების შესახებ

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:


საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, "ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ" 2022 წლის 04 ნომბრის №1425437 გადაწყვეტილების დანართ №1-ში დაზუსტდეს ინფორმაცია და აღნიშნული დანართის მე-10 პუნქტის "ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით" ჩანაწერი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

" ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგნები/საგნების ჯგუფი (აირჩიეთ ერთი):

- ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო და საშუალო საფეხური),
- მათემატიკა (საბაზო და საშუალო საფეხური),
- ინგლისური ენა (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური),
- ისტორია (საბაზო და საშუალო საფეხური),
- ბიოლოგია (საბაზო და საშუალო საფეხური),
- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური),
- სპორტი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური)."

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 2023 წლის 20 სექტემბრის 14:30 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატია რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

